



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2013 წლის 28 ივნისის
 # 942 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2022 წლის 24 ნოემბრის
 N01-05-04/156 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

სამხედრო ინჟინერია
Military Engineering

ფაკულტეტი

სამშენებლო
Civil Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მეძმარიაშვილი
--

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

<p>სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი Doctor of Military Science</p> <p><i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის 45 კრედიტის და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში.</i> <i>პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 წელს.</i></p>

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

<p>მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი ინჟინერიის მიმართულებით, შეიარაღებული ძალების უფროსი და უმაღლესი წოდების ოფიცრები, ასევე ის ოფიცრები, რომელთა სამსახურებრივ ფუნქციებში შედის სამხედრო საინჟინრო უზრუნველყოფის საკითხებიც; მხედველობაში მიიღება: შრომითი პროფესიული საქმიანობა; სამეცნიერო</p>
--

პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.); პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (B2 დონის შესაბამისი) ან გაიაროს ტესტირება სტუ-ს ტესტირების ცენტრში ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული).

აპლიკანტს, რომელსაც განათლება მიღებული აქვს ზემოაღნიშნულ რომელიმე უცხოურ ენაზე, ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოეთხოვება.

დოქტორანტურის პროგრამასთან დოქტორანტობის კანდიდატის შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია სტუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/>

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/brZ_10n_16032018_SD.pdf

საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამის აღწერა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამხედრო ინჟინერია“ წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი კვალიფიკაციის მე-8 დონის განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს; მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათები. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამა ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 45 კრედიტს.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/Orders/>

სასწავლო კომპონენტი ხორციელდება I-II სემესტრებში და მისი შემადგენელი, სემესტრებზე გადანაწილებით, მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის **კვლევითი კომპონენტის** მიზანია, საქართველოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, **მოამზადოს მაღალკვალიფიკაციური სამეცნიერო კადრები, რომლებსაც აქვთ უნარი დამოუკიდებლად განახორციელონ თანამედროვე, უახლეს მეთოდოლოგიებზე დამყარებული ორიგინალური, ინოვაციური კვლევები და ჩაერთონ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში.**

კვლევითი კომპონენტის ელემენტები/ეტაპები

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის წარმართვის/განხორციელების სავალდებულო ელემენტები/ეტაპებია:

1. პროექტი/პროსპექტუსი;
2. კოლოკვიუმი - 1;

3. კოლოკვიუმი - 2;

4. კოლოკვიუმი- 3;

5. წინასწარი დაცვა;

6. დისერტაციის დასრულება და დაცვა.

კვლევითი კომპონენტის განხორციელების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად სავალდებულოა წინმსწრები კომპონენტის ჩათვლა.

სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

- სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრში დოქტორანტი ამზადებს კვლევის პროექტს/პროსპექტუსს.
- კვლევის პროექტი/პროსპექტუსი მოიცავს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, კვლევისათვის აუცილებელ ძირითად ბიბლიოგრაფიასა და საკითხის კვლევის ისტორიას. დოქტორანტმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით). პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და თეორიული/პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება.
- პირველი წლის მეორე სემესტრის ბოლოს დოქტორანტი კვლევის პროექტს/პროსპექტუსს წარადგენს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე. სხდომის ოქმის (რეკომენდაციებით) ამონაწერი და წარდგენის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ელექტრონულ მატარებელზე (CD) ინახება დოქტორანტის პირად საქმეში. დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი აგრძელებს კვლევას.

კოლოკვიუმი

- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დოქტორანტს სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრის განმავლობაში ევალუა სამი კოლოკვიუმის მომზადება. კოლოკვიუმები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.
- კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია, დოქტორანტის შემოქმედებითი აზროვნების წარმოჩენა, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.
- კოლოკვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოკვიუმში დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი (კვლევის ხარისხი), ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან გააკეთოს დასკვნები და განსაზღვროს მუშაობის შემდგომი მიმართულება; წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები; გააკეთოს გამოსაქვეყნებლად მომზადებული ან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზი.
- დოქტორანტის მუშაობა კოლოკვიუმზე ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.
- კვლევის მოცემულ ეტაპებზე მიღებული შედეგები წარედგინება აკადემიურ დეპარტამენტს. დეკანი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით, ქმნის 5-7 წევრისგან შემდგარ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება საფაკულტეტო ბრძანებით. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. კომისიაზე დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (20–25 წუთი).
- თითოეული კოლოკვიუმის კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, დოქტორანტი აგრძელებს კვლევას. კოლოკვიუმის უარყოფითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად. თითოეული კოლოკვიუმის ჩატარება ფორმდება ოქმით. კოლოკვიუმის პრეზენტაცია იწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD კომპაქტ დისკზე) და ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

დისერტაციის წინასწარი დაცვა

- დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობაა, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა მეექვსე სემესტრის მერვე/მეცხრე კვირაში, აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. მიზანშეწონილია შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა.

- დოქტორანტი სხდომას მოახსენებს ნაშრომის ძირითად დებულებებსა და მიღებულ შედეგებს. აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, სამეცნიერო სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას. წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემასა და მისი გადაწყვეტის გზებს. დოქტორანტი პასუხობს სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. წინასწარი დაცვის დროს დოქტორანტმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის აუდიო/ვიზუალური მასალა. წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელზეც ხელს აწერენ დეპარტამენტის უფროსი და დამსწრე წევრები. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD კომპაქტ დისკზე), რომელიც ინახება სტუდენტის პირად საქმეში. დოქტორანტის საქართველოში არყოფნის ან დოკუმენტურად დასაბუთებული სხვა საპატიო მიზეზის შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით, წინასწარი დაცვა შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ რეჟიმში.

დისერტაციის დაცვა

- დისერტაციის დაცვა (შემდგომში დაცვა) ტარდება საჯაროდ, სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
- **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად**, იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მუშაობას. სტუდენტს, რომელიც ვერ მოასწრებს შეფასებაზე გასვლას მიმდინარე სემესტრის სესიების ვადებში, ჩაბარების უფლება მიეცემა დამატებითი გამოცდების პერიოდში, ან მომდევნო სემესტრში, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდების დამთავრებამდე. დოქტორანტურის **საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების** წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ ბმულზე: https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2020.pdf
- დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა), სადისერტაციო საბჭოს წარუდგინა საჭირო დოკუმენტაცია (სტუ-ის საუნივერსიტეტო საბჭოს დებულების მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები), ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატების ეგზემპლარები.

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ✓ მოამზადოს სამხედრო ინჟინერიის კვალიფიციური სპეციალისტი და მკვლევარი, რომელიც დაუფლებულია NATO-ს სამხედრო ტერმინოლოგიასთან თავსებად ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიას, და ამ ცოდნის ბაზაზე აქვს სისტემური ცოდნა თავდაცვის გარემოსა და შეიარაღებული ბრძოლის შესახებ, რომელიც მოიცავს: საომარი თეატრის მომზადებას თავდაცვისათვის; ომის არსს; შეიარაღებული ძალების სახეობებისა და ფორმირებების სტრუქტურას;
- ✓ შეასწავლოს სამხედრო სტრატეგია, ოპერატიული ხელოვნება და ტაქტიკა; შეიარაღებული ბრძოლის წარმოება ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერში და კოსმოსში; შეიარაღების სისტემები; საქართველოს ტიპის სახელმწიფოების უსაფრთხოების პრიორიტეტები სამხედრო ხელოვნებაში; ასიმეტრიული და ჰიბრიდული ომები;
- ✓ შესძინოს კურსდამთავრებულებს სამხედრო საინჟინრო დარგის წინაშე მდგარი გლობალური საკითხების (საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო მომზადება თავდაცვისათვის; საბრძოლო მოქმედებებისა და ბრძოლების საინჟინრო უზრუნველყოფის ღონისძიებების განხილვა სხვადასხვა ტიპის ოპერაციებისას, სხვადასხვა გარემოსა და სხვადასხვა კლიმატურ პირობებში; აღნიშნული ფაქტორების მიღწევა საკუთარი ძალების მობილურობით, მოწინააღმდეგე ძალების ანტიმობილურობით და საბრძოლო ტექნიკის, პირადი შემადგენლობისა და მოსახლეობის საინჟინრო შენიღბვით) გადაწყვეტის უნარი ხელმძღვანელობითი, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- ✓ აყალიბებს სამხედრო მეცნიერების და მისი შემეცნების მეთოდებს, რომელიც განმტკიცებულია NATO -ს ტერმინების ცნებებთან და განმარტებებთან შეთავსებული ქართული სამხედრო ტერმინოლოგიით, **ინფორმირებულია** თავდაცვის გარემოსა და შეიარაღებული ბრძოლის შესახებ, რომელიც შეისწავლის: ომის არსს; სამხედრო სტრატეგიას, ოპერატიულ ხელოვნებას და ტაქტიკას; სამხედრო ფორმირებების და შეიარაღებული ძალების სტრუქტურას; სამხედრო ოპერაციის სახეობებს; საჰაერო-კოსმოსურ სამხედრო კომპლექსებს და მათ ფუნქციებს; მასობრივი განადგურების იარაღს; ზოგადად შეიარაღებას; შეიარაღებული ძალების განსხვავებულ გამოყენებას; საგანგებო ვითარებებს და პარტიზანულ მოძრაობებს;
- ✓ ინოვაციური მიდგომებით **წყვეტს** ისეთ საინჟინრო უზრუნველყოფის ამოცანებს, რომლებსაც ახორციელებენ ბრძოლის ველზე და მოიცავენ საინჟინრო ქმედებებს ნებისმიერ ექსტრემალურ გარემოში, წელიწადისა და დღე - ღამის ნებისმიერ დროს.
- ✓ **გეგმავს და ასაბუთებს** ტერიტორიის თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადების, საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის აუცილებლობას, რომელიც მოიცავს: საქართველოს ტერიტორიის – გარემოს, ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კომუნიკაციის თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადების სტრუქტურული მოდელის ჩამოყალიბებას, რომელიც მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში, ერთიანი – სამოქალაქო და სამხედრო საინჟინრო უზრუნველყოფით გაზრდის საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ეფექტურობას;
- ✓ ოპერატიულ-სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე **დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს** საბრძოლო მოქმედებებს და ბრძოლებს, შეტევით და თავდაცვით ოპერაციებს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, **იღებს გადაწყვეტილებას**, საკუთარი ძალების მობილურობის, მოწინააღმდეგის ანტიმობილურობის და სიცოცხლის უნარის საინჟინრო მეთოდებით გადარჩენის პროცედურების ჩასატარებლად, ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერი საიარაღო ზემოქმედებისას, წლის სხვადასხვა დროს და დღე-ღამის კონკრეტულ ინტერვალში, რთული კლიმატური პირობების გათვალისწინებით;
- ✓ დამოუკიდებლად გეგმავს და უწევს ზედამხედველობას ტერიტორიის თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადების პროცედურებს.
- ✓ საგანგებო და ექსტრემალური გარემოს ინოვაციური კვლევის ანალიტიკური მეთოდებითა და მიდგომების გამოყენებით, **ამოწმებს** საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისა და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისთვის საომარი მდგომარეობის მზადყოფნას;
- ✓ სამხედრო ინჟინერიასა და მის მომიჯნავე დარგებში მოვლენათა ზუსტი და შესაბამისი ტერმინების ასახვით და მიდგომის კრიტიკული ანალიზით, პრობლემების გადაჭრისას **იღებს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად**, ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ცალკეულ უბნებზე საბრძოლო მოქმედებების დროს, ოპტიმალურად **იყენებს** სამოქალაქო ინფრასტრუქტურის საინჟინრო ობიექტებს და გამოვლენილ ნაკლოვანებებზე **აკეთებს სათანადო დასკვნებს** და შეფასებებს;
- ✓ ექსტრემალურ, არასტანდარტულ სიტუაციებში, ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, სახელმწიფოს სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ცალკეულ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან, სამოქალაქო პირებთან კომუნიკაციით, საინჟინრო ინფრასტრუქტურის ეფექტურად გამოყენებით, **წყვეტს** მის წინაშე მდგარ ამოცანებს და რამდენიმე ალტერნატიული გზიდან არჩევს და ასაბუთებს საუკეთესოს.
- ✓ სამხედრო სფეროს სპეციალისტებთან, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, უცხოურ ენაზე თემატიკურ პოლემიკაში **ჩართვით** და სამხედრო ტერმინოლოგიის ცოდნით მკაფიოდ **წარმოაჩენს** საკუთარ თავს, გარკვევით და გამართულად **აყალიბებს** ინოვაციურ კვლევებში გამოყენებულ მეთოდებსა და მიღებულ უახლეს მიღწევებს.
- ✓ **წარმართავს** კვლევის პროცესებს სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების გააზრებით და **იმკვიდრებს** თავს აკადემიურ და პროფესიონალურ წრეებში.

- ✓ სამხედრო დარგში მიღებული ცოდნით, ეროვნული ღირებულებების დაცვით, სამხედრო ინჟინრის პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის გააზრებით, **უზრუნველყოფს** საზოგადოების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას და ახალი ღირებულებების ფორმირებისთვის შეიმუშავებს მათი დამკვიდრების ინოვაციურ მეთოდებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული სამეცნიერო-თემატური სემინარი დამოუკიდებელი მუშაობა კონსულტაცია კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში (Brain Storming), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, ინდექცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, წერიითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შეიმუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების სისტემის შესაბამისად.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებები:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესი მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2020.pdf

დასაქმების სფერო

- თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურები, რომელთა ფუნქციებში შედის ტერიტორიის საინჟინრო მომზადება და საბრძოლო მოქმედებების და ბრძოლების საინჟინრო უზრუნველყოფა.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურები, რომელთა საქმიანობა მოიცავს საგანგებო სიტუაციების მართვას.

- სახელმწიფო, საქალაქო და რეგიონალური სტრუქტურები, რომელთა საქმიანობა შეეხება ტერიტორიის საინჟინრო მომზადებას და საგანგებო სიტუაციების მართვას.
- საპროექტო ორგანიზაციები და კომპანიები, რომელთა საქმიანობა შეეხება პროექტირებას და კონკრეტული ქმედებების დროს სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საკითხების გათვალისწინებას ან საგანგებო ვითარებას.
- სამხედრო-საინჟინრო მიმართულებით და საგანგებო სიტუაციების მართვის მხრივ სასწავლო პროცესები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსის) ავტორები და დოქტორანტების ხელმძღვანელები გამოირჩევიან მაღალი ხარისხის სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილებით. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ხელმძღვანელად ყავდეთ, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე მოწვეული უცხოელი პროფესორები, სტუ-ს პარტნიორი წამყვანი უცხოური უნივერსიტეტებიდან.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით: მაღალი ხარისხის თანამედროვე კვლევითი ლაბორატორიებით, სასწავლო ინვენტარით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერული კლასებით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 7

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი						
			I წელი			II წელი			
			I	II	III	IV	V	VI	
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	არ აქვს	4						
2	სწავლების მეთოდები	არ აქვს	6						
3	სამხედრო მეცნიერების სტრუქტურა, არსი და კვლევის მეთოდები	არ აქვს	5						
სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები:									
4	სამხედრო ტერმინოლოგია	არ აქვს	5						
5	სამშენებლო ხელოვნების კურსი სამხედროებისათვის	არ აქვს	5						
6	ტერიტორიის საინჟინრო მომზადება თავდაცვისათვის და საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა	არ აქვს	5						
7	თავდაცვის გარემო და შეიარაღებული ბრძოლა	სამხედრო ტერმინოლოგია		5					
8	პროფესორის ასისტენტობა	სწავლების მეთოდები		10					

სასწავლო კომპონენტი სულ სემესტრში:		30	15	-----
სასწავლო კომპონენტი სულ წელიწადში:		45		
კვლევითი კომპონენტი		-----		

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	EDU10312G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/100	15	15			2	4	64
2	EDU10912G1-LS	სწავლების მეთოდები	6/150	30	30			2	2	86
3	SES10301G1-L	სამხედრო მეცნიერების სტრუქტურა, არსი და კვლევის მეთოდები	5/125	45				2	2	76
4	SES10401G1-L	სამხედრო ტერმინოლოგია	5/125	45				2	2	76
5	SES10501G1-L	სამშენებლო ხელოვნების კურსი სამხედროებისათვის	5/125	45				2	2	76
6	SES10701G1-L	ტერიტორიის საინჟინრო მომზადება თავდაცვისათვის და საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების სამხედრო - საინჟინრო უზრუნველყოფა	5/125	45				2	2	76
7	SES10601G1-L	თავდაცვის გარემო და შეიარაღებული ბრძოლა	5/125	45				2	2	76

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ელგუჯა მემმარიაშვილი

სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ზურაბ გვიშიანი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

მიღებულია

სამშენებლო ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
16.01.2013 ოქმი # 1

მოდერნიზებულია
სამშენებლო ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
ოქმი N8. 11.11.2022 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ გვიშანი